გიორგი ჩაკვეტაძის საქმიანობის

4 წლის ანგარიში

2017 ნოემბერი - 2021 სექტემბერი

სარჩევი

შესავალი 2

საკრებულოს სხდომები და კომისიური მუშაობა 2

- საკრებულოს სხდომები 2
- სატრანსპორტო პოლიტიკა 3
- ურბანული პოლიტიკა 4
- გარემოს დაცვის პოლიტიკა 4
- ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკა 5
- ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკა 6
- თბილისის მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკა 7
- კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკა 9
- იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია 11
- ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო'' 11
- მერიის საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისია 15

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა 15

- კომისიის სხდომები 16
- კომისიის ინიციატივები 29
- ღონისძიებებსა და შეხვედრებში მონაწილეობა 35
- მივლინებები/ოფიციალური ვიზიტები 35
- განხილული კორესპონდენცია 36
- მოქალაქეთა მიღება 36
- დამატებითი ინფორმაცია 37
- საზოგადოებასთან ურთიერთობა 37

შესავალი

დოკუმენტი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ჩაკვეტაძის მიერ 2017 წლის 14 ნოემბრიდან 2021 წლის 30 სექტემბრამდე შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.

2017 წლის 21 ოქტომბერს გამართული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების საფუძველზე, 2017 წლის 14 ნოემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა, რომელზეც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის „ბ.გ" ქვეპუნქტისა და საკრებულოს №-1 განკარგულების შესაბამისად ცნობილ იქნა მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება.

კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 ნოემბრის, №-17 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე აირჩიეს **გიორგი ჩაკვეტაძე.**

კომისიის წევრი

2017 წლის 5 დეკემბრის №63 განკარგულებით *(საფუძველი კომისიის დასახელების ცვლილება)* იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი.

ფრაქციის წევრი

2017 წლის 14 ნოემბრიდან ***ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი.***

საკრებულოს სხდომები და კომისიური მუშაობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის და მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია:

საკრებულოს სხდომები

საანგარიშო პერიოდში **(14.11.2017- 30.09.2021)** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუროს **89** და საკრებულოს **87** სხდომა გაიმართა. შედეგად, გიორგი ჩაკვეტაძის თანამონაწილეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულია 2260 გადაწყვეტილება. მათ შორის, 476 დადგენილება და 1784 განკარგულება.

გიორგი ჩაკვეტაძე (2017 წლის 14 ნოემბრიდან-2021 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით) დაესწრო ბიუროს **83** და საკრებულოს **81** სხდომას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული, დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა;
- ურბანული განვითარების ხელშეწყობა;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა;
- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- თბილისის მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკა;
- კულტურა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა.

სატრანსპორტო პოლიტიკა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით დედაქალაქში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა:

- მოხდა თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა. უპირატესობა მიენიჭა ქვეითებს, საზოგადოებრივ ტრანსპორტს და ეკომეგობრულ ინდივიდუალურ სატრანსპორტო საშუალებებს;
- მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა. გამოიკვეთა თბილისის ძირითადი სატრანსპორტო დერეფნები. გაფართოვდა ტროტუარები. დაიხაზა ბასლაინები საზოგადოებრივი ტრანსპორტით სწრაფად გადაადგილებისთვის. გამოიყო ველობილიკები, დამკვიდრდა გამზირების რეაბილიტაციის ახალი სტანდარტი;
- უმაღლესი სტანდარტის მქონე ტრანსპორტით განახლდა ავტობუსების პარკი. დაიწყო მეტროს რეაბილიტაცია და სამარშუტო ტაქსების პარკის განახლების პროგრამა. ჩატარდა ტაქსების რეფირმა. შეიქმნა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ერთიანი კონცეფცია. აქტიურად მიმდინარეობს პარკირების სისტემის დანერგვა;
- ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების მიზნით, **19 ლოკაციაზე** განხორციელდა მიწისზედა გადასასვლელი ხიდების დემონტაჟი და მათ ნაცვლად შუქნიშნით რეგულირებადი ზებრა გადასასვლელები მოეწყო;
- პრიორიტეტად იქცა ეკოტრანსპორტი, გადაადგილების ისეთი საშუალებების წახალისება, როგორიცაა ველოსიპედები და ელექტროსკუტერები. ამ მიზნით, **22 კმ-ზე ველოსიპედის განცალკევებული ზოლი დაიხაზა;**
- ქალაქის მასშტაბით, **34,5 კმ-ზე დაიხაზა** ავტობუსის განცალკევებული ზოლი;
- ახალი საავტობუსე ქსელის დახმარებით, გაშვებულ ქსელებზე მოცდის საშუალო დრო **27-დან 10 წუთამდე მცირდება,** ხოლო მგზავრთა ტევადობა **2.5-ჯერ იზრდება;**
- თბილისის ავტოპარკში **680 ახალი ერთეული ავტობუსია** და ავტობუსების შემოყვანის პროცესი გრძელდება;
- განახლდა მიკროავტობუსების პარკიც, ამოქმედდა ერთიანი ელექტრონული გადახდის სისტემა და **90 წუთიანი უფასო** გადაჯდომის წესი;
- თბილისის მეტროს დაემატა **27 ერთეული ვაგონი**, რომელსაც წლის ბოლომდე კიდევ 40 ვაგონი დაემატება. კაპიტალურად შეკეთდა **79 ვაგონი**, რასაც კიდევ **20 დაემატება**;

- განხორციელდა ტაქსების რეფორმა. წლების მანძილზე მოუწესრიგებელი სფერო დარეგულირდა. მძღოლებს შესაბამისი შეღავათები დაუწესდათ და სხვადასხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობა გაეზარდათ;
- პარკირების ფუნქცია კერძო კომპანიის ნაცვლად, მუნიციპალიტეტმა შეითავსა, რომლის მოგება ისევ სატრანსპორტო პოლიტიკის გაუმჯობესებას ხმარდება. ზონალურ-საათობრივი პარკირებით ადგილობრივ მაცხოვრებლებს, შშმ პირებს და ელექტრომობილების მფლობელებს უფრო მეტი კომფორტი შეექმნათ;
- ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის ხელშეწყობის მიზნით, **38 ლოკაციაზე** მოეწყო ელექტროდამტენი სადგურები, რასაც კიდევ **100 შეემატება**.

ურბანული პოლიტიკა

ურბანული პოლიტიკის მიმართულებით განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები:

- თბილისის განვითარების ახალი გენერალური გეგმა, რომლის მეშვეობით ქალაქის სწორი და მდგრადი განვითარება შეუქცევადი გახდა;
- აღდგა თბილისის ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა;
- ქალაქს დამატებით **4 000 000 კვ.მ მწვანე სივრცე** და დამატებით **5 ახალი საპარკო არეალი შეემატა**;
- აიკრძალა მშენებლობის ნებართვები სკვერის, პარკისა და სპორტული სივრცის ტერიტორიაზე;
- შეიზღუდა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება;
- გენერალური გეგმის მიხედვით, თბილისის ტერიტორიების **138 266 255 კვ.მ-ზე გავრცელდა სატყეო ზონა;**
- განხორციელდა ორბელიანის მოედნის და მიმდებარე ქუჩებზე მდებარე **22-მდე შენობის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშოები** (მათ შორის 13 ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი);
- სრულდება გუდიაშვილის მოედნის და მიმდებარე **30-მდე შენობის** (აქედან 22 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- განოხრციელდა დედაენისა და 9 მარტის ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დაიწყო მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რეაბილიტაცია;
- 27 მისამართზე განხორციელდა ისტორიული შენობების სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- 477 უფუნქციო, უსახური ავტოფარეხის ნაცვლად **34 ახალი სკვერი მოეწყო.**

გარემოს დაცვის პოლიტიკა

გარემოს დაცვის პოლიტიკის მიმართულებით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დედაქალაქში ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა, მათ შორის:

- დედაქალაქში აღარ ხორციელდება არც ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, არ გაიცემა არც ერთი ნებართვა, თუკი გარემოს დაცვითი სტანდარტები უმაღლეს დონეზე არ არის დაცული.

- განვლილი წლების განმავლობაში შემუშავდა ნარჩენების მართვის გეგმა და სტრატეგია, რის შედეგადაც, თბილისში ბევრად მარტივი გახდა ნარჩენების სწრაფად და ეფექტიანად გატანა/გადამუშავება;
- შეიქმნა თბილისის ზღვის სანიტარული დაცვის ზონები და ამ მიმართულებით ხორციელდება ეფექტიანი კონტროლი;
- დაიწყო ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების პრევენციისთვის აუცილებელი სამუშაოები;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტი განახლდა ეკოლოგიურად სუფთა ავტოპარკით, რაც ხელს უწყობს ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლის კლებას;
- პროექტი „თბილისის მებაღე" - ხორციელდება ნიადაგის მომზადება, მწვანე ნარგავების დარგვა/გადარგვა, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, ნარგავების სხვლა-ფორმირება, სანიტარიული ჭრა და ფიტოსანიტარია;
- დაირგო **215 000 ძირი მწვანე ნარგავი,** ხოლო ფიტოსანიტარული კვლევა და წამლობა ჩაუტარდა **500 000 ნარგავს;**
- **500 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე** დაირგო ბალახი;
- **40 000 კვადრატულ მეტრზე** განხორციელდა ნიადაგის მულჩირება;
- სანიტარიული ჭრის ფარგლებში მოიჭრა **70 000 დაავადებული ფიჭვის ხე;**
- მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა **23 შადრევანს;**
- **20 ჰექტარ ფართობზე** მოეწყო ტყე და დაირგო **30 000 მწვანე** ნარგავი;
- მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა **1 000 სკვერს, 15 პარკსა და 60 გამყოფ კუნძულს;**
- მოეწყო და განახლდა **100 ჰა სარეკრეაციო** სივრცე და **12 მწვანე კუნძული;**
- მიმდინარეობს ვაკის პარკის რეაბილიტაცია, ვარკეთილის ხევში პარკის მოწყობა, რიგის პარკის რეაბილიტაცია და ა.შ;
- იპოდრომის ტერიტორიაზე მიმდინარეობს საქალაქო მნიშვნელობის რეკრეაციული ზონის, ცენტრალური პარკის მოწყობა, რომელსაც ფონდი „ქართუ" ახორციელებს.

ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკა

ამ მიმართულებით განხორციელდა შემდეგი ძირითადი პროექტები და ღონისძიებები:

- ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი გულისხმობს მიწისქვეშა კომუნიკაციების გამოცვლას, ვიზუალური ნაწილის მოწესრიგებას, ფუნდამენტურ განახლებას;
- სრულად რეაბილიტირდა **900-ზე მეტი ქუჩა,** რამდენიმე საკვანძო გამზირი და გზატკეცილი. მათ შორის: კახეთის გზატკეცილი, ლეხ კაჩინსკის ქუჩა, ჭავჭავაძის გამზირი, ხიზანიშვილის, ვეკუას და ხოჭოს ტბის ქუჩები, ბარათაშვილის აღმართი, რობაქიძის გამზირი, კოსტავასა და შარტავას ქუჩები, კანდელაკის ქუჩა, ნოდარ დუმბაძის გამზირი, დიდგორი-თელოვანის საავტომობილო გზა, თხინვალასა და ვარაზის ქუჩებიდან სოფელ აგარაკამდე მისასვლელი გზა, თბილისი-ნაფეტვრების გზის მონაკვეთი, სამხედრო დასახლებაში შიდა გზები, ბარათაშვილის ქუჩა, დავითაიას ქუჩისა და მთისძირის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზა და სხვა;
- აშენდა **3 გზაგამტარი და რეაბილიტირდა 10 ხიდი;**

- კაპიტალურად რეაბილიტირდა ჯამში **5 400 000 კვ.მ.** ფართობის გზის საფარი;
- წყალარინებისა და წყალმომარაგების კუთხით, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადაიდგა-წყალგაყვანილობის ქსელს **1200-მდე აბონენტი შეუერთდა.** წყალარინების ცენტრალურ ქსელზე დაერთდა **1800-მდე აბონენტი;**
- საყრდენი კედლები მოეწყო **383 მისამართზე;**
- გამაგრების სამუშაოები ჩაუტარდა **355 საცხოვრებელ კორპუსს;**
- პროექტ „ახალი ტფილისის" ფარგლებში, **93 ობიექტი რეაბილიტირდა,** საიდანაც **74 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია** (მათ შორის: ორბელიანის მოედანი, დედაენისა და 9 მარტის ბაღები, გუდიაშვილის მოედანი);
- ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დაიხარჯა **796 217 000 ₾.**

ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკა

საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი პროგრამები:

- თბილისში აშენდა და გაიხსნა **18 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი;**
- მიმდინარეობს ახალი ბაღების მშენებლობა;
- მასშტაბური სარემონტო სამუშაოები ჩატარდა **147 ბაღში;**

ჯანდაცვის მიმართულებით, სამი ახალი პროგრამა დაინერგა:

- „ტრანსპლანტაციის პროგრამის" ღვიძლის გადანერგვის კომპონენტი;
- „დაავადებათა სკრინინგის პროგრამის" ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტი: ფილიალების დამატება, ყველა ფილიალის თანამედროვე აპარატურით **აღჭურვა (2 000 000 ₾-მდე ინვესტიცია);**
- „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების პროგრამა";

საანგარიშო პერიოდში სერვისების მიწოდება განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

- „ტრანსპლანტაციის" პროგრამის ფარგლებში **259 პაციენტი დაფინანსდა;**
- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების პროგრამით, 2020 წლიდან მომსახურებას იღებს **87 პაციენტი;** ერთი პაციენტისთვის წელიწადში **25 000 ლარი**;
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების პროგრამით ძვირადღირებული პრეპარატები მიიღო **397-მა პაციენტმა;**
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა **აბილიტაციის პროგრამით სარგებლობს - 1 375 პირი (ბიუჯეტი - 5 000 000 ₾)**, მზარდი დაფინანსების ხარჯზე ყოველწლიურად მცირდება მომლოდინეთა რაოდენობა.

თბილისის მერია სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისა და მოზარდებისთვის აფინანსებს პროგრამებს:

- მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში ;

- ხელოვნების სკოლებში;
- სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებზე.

პროგრამებით ყოველწლიურად **- 9 648 ბავშვი** და მოზარდი სარგებლობს;

გარდა ზემო აღნიშნულისა:

- მერიისა და გამგეობების პროგრამებით, **2 მილიონზე მეტი მოთხოვნა დაკმაყოფილდა;**
- **1800-მდე ოჯახს 1₾-ად** საცხოვრებელი ფართი დაუკანონდა;
- კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ **1300-მდე ოჯახი დაკმაყოფილდა;**

აქტიურად განხორციელდა მუშაობა დედაქალაქში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების პრობლემის გადაწყვეტისთვის:

- იდენტიფიცირებულია - **179 დაუმთავრებელი მშენებლობა - 13 000 დაზარალებული ოჯახი;**
- **33 დაუმთავრებელ სამშენებლო ობიექტზე** - გაცემულია მხარდამჭერ ღონისძიებებზე რეკომენდაცია (დაკმაყოფილებული ოჯახი 8362);
- **11 - განხილვის პროცესში** - (777 ოჯახი);
- **18 - მისამართზე დაწყებულია** სამშენებლო პროცესი და პროცედურები.

თბილისის მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტების ჯამური ბიუჯეტია **4 791 361 419 ₾.**

- საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მეშვეობით მოზიდული სახსრებით ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, ჯამური ღირებულებით **284 256 168 ₾.**

პანდემიიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, **2020 წლიდან დღემდე გატარდა სხვადასხვა ხელშემწყობი ღონისძიება:**

- **700 მოიჯარე გათავისუფლდა 3 მილიონამდე** ლარის საიჯარო ქირის გადასახადისგან;
- **155 ღია კაფეს მფლობელი გათავისუფლდა ჯამში 1 350 000 ₾** საიჯარო გადასახადისგან;
- ასეულობით პირს მიეცა უფლება უსასყიდლოდ მოეწყო ღია კაფე;
- **500-მდე მოიჯარეს 2020 წლის საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება** გადაუვადდა;
- ჯიხურის მოიჯარეებს, ჩამოეწერა ასი ათასობით ლარის ადმინისტრაციული ჯარიმა;
- ღია კაფეების, ჯიხურებისა და სხვა მოიჯარეებს პანდემიის პერიოდში შეუჩერდათ ასი ათაოსობით ლარის პირგასამტეხლოს დარიცხვა;
- პანდემიის გამო, შეზღუდვების **პერიოდში 450 კვების ობიექტს** დაახლოებით **8-ჯერ** შეუმცირდა დასუფთავების მოსაკრებელი;
- პანდემიისგან დაზარალებული სექტორების მხარდასაჭერად სუბსიდირების პროგრამები განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც **4.2 მლნ. ₾ დაფინანსება გაიცა 1 000 ბენეფიციარზე.**

შეღავათები დაწესდა ეკონომიკური სექტორისთვის:

- სამშენებლო და ფინანსური შეღავათები დაუსრულებელი მშენებლობებისთვის;
- 2021 წლის 1 იანვრამდე საზოგადოებრივ ტერიტორიაზე უნებართვოდ განთავსებული დროებითი შენობა-ნაგებობები განთავისუფლდა ჯარიმა/საურავებისგან;
- საზოგადოებრივ ტერიტორიაზე ვადაგადაცილებით განთავსებულ დროებით შენობა-ნაგებობებს-ჯიხურებს გაუხანგრძლივდათ სარგებლობის ვადა 2021 წლის 1 ივლისამდე;
- სამშენებლო ამნისტიის პაკეტი (მიმდინარე).

ახალი პროექტები ეკონომიკურ სექტორთან ერთად:

- თბილისის გარე განათების პროექტი: **100 მილიონი ₾ ინვესტიცია;**
- რადიოქალაქის განვითარების პროექტი: საპრივატიზებო საფასური - **23 მილიონი ₾, 8 მილიონი დოლარის ინვესტიცია**;
- თბილისის ანძის განვითარების პროექტი: **4 წლის განმავლობაში დაახლოებით 5 მილიონი დოლარის ინვესტიცია;**
- გადასასვლელი ხიდების პროექტი: **16 ადაპტირებული ხიდი, 4 წლის განმავლობაში 10 მილიონი ₾ ინვესტიცია;**
- კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნით, **17 სხვადასხვა სამშენებლო პროექტი და კომპანია, 500 000 კვ.მ-ზე მეტი სამშენებლო მოცულობა;**
- თბილისის მერიისა და ევროკავშირის თანამშრომლობით, 2019 წელს **ბიზნესაქსელერატორი „სპარკი"** გაიხსნა. **ჯამში 4 310 -ზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა;**
- 2018 წლიდან ტარდება გამოფენა-გაყიდვა „თბილისური ბაზარი";
- 2019 წლიდან ტარდება ფესტივალი ,,გაუსინჯე თბილისს გემო";
- 2019 წელს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა **8 რაიონულ სერვისცენტრს.**

ურბანული და არქიტექტურის მიმართულებების ინსტიტუციური რეფორმა:

- საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, არქიტექტურის სამსახურს გამოეყო ურბანული (პოლიტიკის) მიმართულება;
- შეიქმნა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია გენგეგმის მართვასა და ქალაქის სწორ განვითარებაზე;
- არქიტექტურის სამსახურის სტრუქტურული რეფორმის შედეგად, შეიქმნა მოქნილი ორგანიზაციული მოწყობა, სადაც ძირითად და დამხმარე მიმართულებათა ბალანსით მოხდა სამსახურის ეფექტიანობის ზრდა;
- სამსახურის ოპტიმიზაციის ხარჯზე შეიქმნა საინჟინრო განყოფილება და დაინერგა შეფასების და მონიტორინგის შიდა სისტემა.

2018 წელს შეიქმნა მუნიციპალური ინსპექცია ზედამხედველობის სამსახურის რეორგანიზაციის შედეგად:

- გაიზარდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ჯარიმები სამშენებლო სამართალდარღვევის, გარე ვაჭრობის, რეკლამებისა და აბრების კანონმდებლობის დარღვევით განთავსებისა და გარემოს დანაგვიანების კუთხით;
- მხოლოდ სამშენებლო სამართალდარღვევისა და გარემოს დაბინძურების მიმართულებით 4 წლის განმავლობაში გამოვლენილია **8000-მდე** სამართალდარღვევა;
- ხოლო ყველა დანარჩენი მიმართულებით ჯამურად 4 წლის მანძილზე მუნიციპალურ ინსპექციის მიერ გამოვლენილია 10 025 სამართალდარღვევის ფაქტი;
- დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელების ოდენობა შეადგენს 78 144 060 ₾-ს.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკა

ამ მიმართულებით, დედაქალაქში არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა თუ პროექტი განხორციელდა, რითაც ეს სექტორები განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდნენ:

- **320 საგანმანათლებლო და ახალგაზრდული პროექტი, 700 სპორტული კულტურული** პროექტი თუ ინიციატივა, **21 საერთაშორისო სპორტული ღონისძიება;**
- სხვადასხვა პროექტში დასაქმდა **4000-ზე მეტი ახალგაზრდა;**
- დაჯილდოვდა **107 სპორტსმენი და დაფინანსდა 96 სხვადასხვა** სპორტული ორგანიზაცია;
- **5000-მდე სოციალურად დაუცველ სტუდენტს დაუფინანსდა** სწავლის საფასური;
- **1400-მდე წარმატებულმა მაგისტრანტმა** მიიღო მერიის სტიპენდია;
- განხორციელდა **3 სპორტული ცენტრის მშენებლობა;**
- სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა **7 სპორტულ ცენტრს;**
- ტექნიკით და ინვენტარით აღიჭურვა **6 სპორტული ცენტრი ;**
- მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა **518 სპორტულ მოედანს** ;
- მოეწყო **386 გარე გამოყენების** სატრენაჟორო სივრცე;
- სრულად რეაბილიტირდა **8 სახელოვნებო სკოლა;**
- პანდემიის მიუხედავად, 2020-21 წლებში არ შეჩერებულა პროექტების დაფინანსება, პირიქით, გამარტივდა პროექტების დაფინანსების წესი;
- 2020 წელს კულტურის სფეროს მხარდასაჭერად დამატებით გამოიყო **1 000 000 ₾.**

როგორც აღინიშნა, თბილისის მუნიციპალიტეტმა განათლების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრამები განახორციელა - სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების დაფინანსებისთვის ბიუჯეტი გაორმაგდა და დაფინანსება ჯამში, **6 400-მდე სტუდენტმა მიიღო. მათ შორის, 1 400 მაგისტრანტია.**

ახალგაზრდებისთვის და არამარტო მნიშვნელოვანია პროფესიული განათლება. მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს კურსების ფორმირება პროგრამის „ისწავლე და დასაქმდის"

ფარგლებში. პროგრამის მეშვეობით ხორციელდება მსურველების გადამზადება, რომ შეძლონ კვალიფიკაციის ამაღლება და დასაქმება გაუმარტივდეთ. ამით დამსაქმებელიც კმაყოფილია და ახალგაზრდებიც.

მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მხარდაჭერა და ის, რომ შესაბამისი სერვისები დედაქალაქის სხვადასხვა უბანშია ხელმისაწვდომი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობაში **5 000-მდე მოსწავლე/ახალგაზრდაა ჩართული. აქედან 1 200-მდე ახალგაზრდა უსასყიდლოდ იღებს სერვისს.** გაუმჯობესდა სასწავლო და სამუშაო გარემო, დაინერგა ახალი სერვისები, დაიწყო სასახლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები. სერვისების მიწოდება ყველა უბანში თანაბრად ხდება. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების **ცხრა ფილიალი** ფუნქციონირებს. ეს ცენტრები რთულ მდგომარეობაში იყო. უკვე განხორციელდა ორი ფილიალის რეაბილიტაცია და იგეგმება ასევე, ყველა ცენტრის სრული რეაბილიტაცია.

თბილისის მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს სახელოვნებო სკოლების მიმართულებითაც და ამ სკოლებში **2 630 სოციალურად დაუცველი მოსწავლე უფასოდ სწავლობს.**

დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში ფუნქციონირებს **34 სახელოვნებო სკოლა. 2 630 სოციალურად დაუცველი მოსწავლე სრულიად უფასოდ სწავლობს. გარდა ამისა, ფინანსდება 600-ზე მეტი მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლე. ასევე, არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნების მიზნით, ფინანსდება 700-ზე მეტი მოსწავლე.**

ასევე, თბილისში ოთხი მუზეუმი რეაბილიტირდა. კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონის, კოტე და სოსო წერეთლების სახლ-მუზეუმები და ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი. უახლოეს მომავალში დასრულდება ჩუბინაშვილის ქუჩაზე მდებარე ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია. უკვე გამოსყიდულია მერაბ-კოსტავას სახლ-მუზეუმის შენობა, რომლის რეაბილიტაციაც იგეგმება.

მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს სხვადასხვა უბანში თანაბარი ინფრასტრუქტურის მოწყობას.

კონცეფციის შესაბამისად, ყველა სპორტული ინფრასტრუქტურა ერთ სივრცეში უნდა მოექცეს. ეს იქნება საცურაო აუზი, საკალათბურთო, საფეხბურთო მოედნები, საჭიდაო დარბაზები და სხვა. მსგავსი ადგილებით ყველა თაობის ადამიანმა უნდა ისარგებლოს.

ამ პერიოდში, თბილისში აშენდა სამი სპორტული ცენტრი; განთავსდა 400-მდე გარე გამოყენების სატრენაჟორო სივრცე; მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 500-ზე მეტ სპორტულ მოედანს; რეაბილიტირდა რვა სახელოვნებო სკოლა და შვიდი სპორტული ცენტრი; ტექნიკით და ინვენტარით აღიჭურვა ექვსი სპორტული ცენტრი, ნაძალადევის რაიონში, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში 508 კვ.მ-ზე სკეიტ პარკი მოეწყო.

რაც შეეხება, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებს:

- ორი დიდი ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია დასრულდება უახლოეს მომავალში;
- **ვარკეთილსა და დიდი დიღომში ორი მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი შენდება;**
- მიმდინარეობს მთაწმინდის სპორტული ცენტრის მშენებლობა-რეაბილიტაცის სამუშაოები;
- ახლო მომავალში დაგეგმილია სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის მშენებლობა;
- წყნეთის გზატკეცილზე ფეხბურთის დახურული, ხელოვნურსაფარიანი მოედანი აშენდება;
- „მზიურში" მდებარე ფეხბურთის მოედნის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება;
- ასევე, მოხდება ქალთა და შშმ პირების გუნდების/კლუბების ხელშეწყობა. ამ პროგრამის ფარგლებში, მოხდება მათთვის ეკიპირების შეძენა, სივრცეების დაქირავება, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესით მეტმა ადამიანმა იცხოვროს.

ასევე, აღსანიშნავია. რომ პანდემიის პირობებში, კულტურის სფეროს მხარდასაჭერად, თბილისის მერიამ დამატებით, ერთი მლნ. ₾ გამოყო. მთელი წლის განმავლობაში, ფინანსდებოდა სხვადასხვა ღონისძიება. ასევე, გამარტივდა წესი, რათა პანდემიის პირობებში მეტი ღონისძიებების ჩატარება გამხდარიყო შესაძლებელი - ეს იყო პირდაპირი ჩართვები, ვირტუალური ღონისძიებები. კრეატიული პროცესი და ღონისძიებები არ შეჩერებულა და ათასობით არტისტმა შეძლო თავისი პროექტისთვის დაფინანსების მოპოვება.

დისტანციურად განხორციელდა სხვადასხვა ვიდეოსწავლება და სპორტული აქტივობა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია

საანგარიშო პერიოდში კომისიას ჩატარებული აქვს **92** სხდომა, განხილულია **1612** საკითხი განკარგულების **1118** და დადგენილების **456** პროექტი, ასევე **38** სხვადასხვა საკითხი.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''

საანგარიშო პერიოდში ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს'' ჩატარებული აქვს **87** სხდომა, განხილულია **113** საკითხი.

უმრავლესობის ფორმატში ფრაქციის მიერ არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერთან და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებთან, სამუშაო შეხვედრებზე განიხილებოდა პოლიტიკური და მიმდინარე საკითხები და თბილისისთვის მნიშვნელოვანი პროექტები, მათ შორის:

- **2018 წლის 7 ივნისის** ფრაქციის სხდომას, მერის მოადგილე ირაკლი ხმალაძე და თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გენერალური დირექტორი მამუკა კობახიძე ესწრებოდნენ, სადაც მეტროპოლიტენის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობის შესახებ იმსჯელეს;

- **2018 წლის 25 ივნისის** სხდომაზე, უმრავლესობის ფორმატში საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატებმა მათ სამაჟორიტარო ოლქებში არსებული პრობლემები განიხილეს, რომელთა მოგვარება უახლოეს ხანში დაიწყო;
- **2018 წლის 16 ნოემბერს** უმრავლესობის ფორმატში საკრებულოს წევრებმა 2019 წლის დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტი განიხილეს და მასში შესატან ცვლილებებზე იმსჯელეს. წარმოდგენილი პროექტით, ბიუჯეტის მოცულობა 871 631 510 ₾ იყო. 2019 წლის ბიუჯეტი იმავე წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 10 მილიონი ლარით გაიზარდა;
- **2019 წლის 5 თებერვალს** უმრავლესობის წევრებს, ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ და მერის მოადგილე მაია ბითაძემ, გენერალური გეგმის პრეზენტაცია და სატრანსპორტო პოლიტიკის სამომავლო მიმართულებები გააცნეს;
- **2019 წლის 14 მარტს** ფრაქციამ გენერალური გეგმის ძირითადი მიმართულებები და საბოლოო პროექტი განიხილა. სხდომაზე ,,სითი ინსტიტუტის'' წარმომადგენელს მერაბ ბოლქვაძემ მოუსმინეს. მისი თქმით ეს დოკუმენტი ქალაქის მდგრად განვითარებას განაპირობებს;
- **2019 წლის 24 ივნისის** ფრაქციის სხდომაზე, ქალაქის მერს კახა კალაძეს მოუსმინეს, სადაც უმრავლესობის ფორმატში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებსა და სამომავლო პროექტებზე იმსჯელეს;
- **2020 წლის მარტიდან** თბილისის საკრებულო, მერიასთან და კერძო სექტორთან ერთად სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის (ოთხი და მეტი შვილი) და მარტოხელა მოხუცებისთვის პირველადი მოხმარების პროდუქტების დარიგების კამპანიას აწარმოებდა. პანდემიის პირობებში, ახალგაზრდა მოხალისეების ჩართულობით ათასობით ოჯახს სისტემატიურად გადაეცემოდა პროდუქტები;
- **2020 წლის 13 აგვისტოს** ფრაქციის სხდომა ონლაინ რეჟიმში გამართა. სხდომაზე უმრავლესობის წევრებმა მიმდინარე საკითხებზე იმსჯელეს. მათ ასევე განიხილეს ჭავჭავაძის გამზირის სატრანსპორტო სქემა. ბექა დავითულიანმა კოლეგებს გააცნო სპეციალისტების ანგარიში გამზირზე არსებული ვითარების შესახებ;
- **2020 წლის 17 ნოემბრის** სხდომაზე, დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი ,,ონლაინ ფორმატში" განიხილეს. დედაქალაქის ბიუჯეტის პირველადი ვერსია, კანონის შესაბამისად, საკრებულოში 15 ნოემბერს შემოვიდა. თბილისის მთავარი ფინანსური დოკუმენტის პროექტის მთლიანი მოცულობა 840 302,5 ათასი ₾-ით განისაზღვრა;
- **2021 წლის 2 თებერვლის** სხდომაზე მოწვეული იყო თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსი. ვიქტორ წილოსანმა უმრავლესობის წევრებთან ქალაქში ტრანსპორტის, პარკირებასა და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა;
- **2021 წლის 18 თებერვალს** „თბილსერვის ჯგუფის'' ხელმძღვანელ რომეო მიქაუტაძეს მოუსმინეს. მან უმრავლესობის წევრებს დედაქალაქში დასუფთავების კუთხით არსებული ვითარება და გამოწვევები გააცნო;
- **2021 წლის 1-ლ მარტს** ფრაქციის წევრები გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსს გიგა გიგაშვილს შეხვდნენ და გარემოს დაცვის კუთხით არსებული საკითხები განიხილეს;
- **2021 წლის 29 მარტს** ფრაქციაზე სატრანსპორტო კომპანიის გენერალურ დირექტორს გიორგი შარკოვს და კომპანიის წარმომადგენლებს მოუსმინეს;
- **2021 წლის 2 აპრილის** ფრაქცია ვაშლიჯვრის ფერდზე შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, თბილისის მერის მოადგილეს ირაკლი ბენდელიანს, გეოლოგიის დეპარტრამენტის ხელმძღვანელს და დარგის სპეციალისტებს შეხვდა;

- **2021 წლის 17 მაისს** თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსმა კახაბერ გვანცელაძემ პანდემიის პირობებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობის შესახებ წარმოადგინა ინფორმაცია;
- **2021 წლის 4 ივნისს** თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს უფროსს, ირაკლი თავართქილაძეს შეხვდნენ და ისეთი აქტუალური საკითხების შესახებ მიიღეს ინფორმაცია, როგორიცაა: ქონების პრივატიზირება, მიწის ადგილმონაცვლეობა დედაქალაქის გენერალური გეგმის ფარგლებში, სოციალური მიმართულებები და სხვა;
- **2021 წლის 22 ივნისს** სამშენებლო ამნისტიის საკანონმდებლო პაკეტის შესახებ იმსჯელეს, რომელიც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა წარადგინა;
- **2021 წლის 26 ივლისს** ფრაქციის წევრებს თბილისის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი, ნიკოლოზ ქობულაძე შეხვდა. მან გატარებულ ღონისძიებებსა და სამომავლო გეგმებზე გაამახვილა ყურადღება.

გარდა ამისა, გიორგი ჩაკვეტაძე, როგორც ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს'' წევრი და პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე მონაწილეობას იღებდა ***სხვადასხვა პოლიტიკურ ღონისძიებასა თუ აქტივობაში, მათ შორის:***

- **2017 წლის 20 დეკემბერს,** გიორგი ჩაკვეტაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი წევრის რიმა ბერაძის ინიციატივით, ამავე რაიონში მცხოვრები შშმ პირების ნამუშევრების ერთობლივ გამოფენას დაესწრო. საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად ბავშვებს შობა-ახალი წელი მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს. ღონისძიება „ელენე ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეაში'' მოეწყო. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა ცენტრში არსებული პარაორკესტრი.
- **2018 წლის 11 მაისი:** ქართული ოცნების რიგით V ყრილობის საორგანიზაციო და საკომუნიკაციო აქტივობები;
- **2018 წლის ივლისი:** სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები სვანეთში, სოფელ ჭუბერში;
- **2018 წლის ოქტომბერ-ნოემბერი:** საპრეზიდენტო არჩევნების ღონისძიებები. გიორგი ჩაკვეტაძემ საქართველოს პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად, საკრებულოს წევრებთან ერთად დედაქალაქის რაიონებში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა;
- **2019 წლის 9 აპრილი:** პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის 9 აპრილთან დაკავშირებული ღონისძიება;
- **2019 წლის 11-16 აპრილს:** ქართული ოცნების ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ საქართველოში ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო გაერთიანების (IUSY) პრეზიდიუმისა და შავის ზღვის კომიტეტის სხდომებს უმასპინძლა. დელეგაციამ საოკუპაციო ხაზი მოინახულა და ერთიანი რეზოლუცია მიიღო;
- **2019 წლის მაისში:** გიორგი ჩაკვეტაძემ მთაწმინდის ოლქის შუალედური არჩევნების კანდიდატის, ვლადიმერ (ლადო) კახაძის საარჩევნო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა;
- **2019 წლის 6 ივლისი** დავით უჯმაჯურიძის სახელობის ფონდის დაფუძნება - დავით უჯმაჯურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, მისი სახელობის საქველმოქმედო ფონდი დაარსდა, რომელმაც წარმატებული სტუდენტების დაფინანსება დაისახა მიზნად;

- **2019 წლის 9-12 ოქტომბერი:** პროგრესული ალიანსის კონფერენცია ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სოციალ-დემოკრატიული პლატფორმის ღონისძიებაზე მოხდა გამოცდილების გაზიარება და კავშირების გაძლიერება;
- **2019 წლის დეკემბერი:** ,,საქართველო ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა''. ახალგაზრდული ორგანიზაციის უპრეცედენტო კვირეული მთელი ქვეყნის მასშტაბით. გიორგი ჩაკვეტაძემ პროექტის სხვადასხვა ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის სიტყვით გამოვიდა კვირეულის დასკვნით ღონისძიებაზე თავისუფლების მოედანზე;
- **2019 წლის დეკემბერი:** საკრებულოში მიმდინარე მოვლენები ერეკლე კუხიანიძის მიერ ვაჟა გაფრინდაშვილის შესახებ გაკეთებული განცხადების გამო;
- **2020 წლის თებერვალი:** განცხადება ელენე ხოშტარიას მიერ საქართველო პარლამენტში რუსული ჰიმნის გაჟღერებასთან დაკავშირებით;
- **2020 წლის მარტი:** ქართული ოცნების ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე მოხალისეთა ერთიანი შტაბის ,,მოხალისე StopCOVID-19'' შესახებ. ახალგაზრდა მოხალისეები თვეების განმავლობაში ეხმარებოდნენ მოწყვლად ჯგუფებს;
- **2020 წლის მაისი:** სისხლის უანგარო დონაციის აქციები თბილისსა და რეგიონებში;
- **2020 წლის მაისი:** ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ფორუმი, რომელზეც საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკა და მიმდინარე აქტუალური საკითხები განიხილეს;
- **2020 წლის ივნისი:** Generation Democracy (GenDem) თემატური გადაცემები;
- **2020 წლის 13 ივნისი:** პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებმა 2015 წლის 13-14 ივნისს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს;
- **2020 წლის ივნისი:** გიორგი ჩაკვეტაძემ, როგორც ევროპული დემოკრატიის ახალგაზრდული ქსელის (EDYN) ელჩმა, მონაწილეობა მიიღო USAID-ის ადმინისტრაციის თანაშემწე, ევროპისა და ევრაზიის ბიუროს ხელმძღვანელთან ბროკ ბირმანთან შეხვედრაში. USAID-ის მხარდაჭერით შექმნილი EDYN 22 ქვეყანას აერთიანებს;
- **2020 წლის 1-2 ივლისი:** გიორგი ჩაკვეტაძემ მონაწილეობა მიიღო IUSY-ის შავი ზღვის კომიტეტის სხდომაში, რომელიც პანდემიის გამო ელექტრონულად გაიმართა;
- **2020 წლის ივლისი:** საერთაშორისო რესპუბლიკური ინსიტუტის (IRI) ახალგაზრდული პოლიტიკური დებატები;
- **2020 წლის სექტემბერი-ოქტომბერი:** 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანია და ახალგაზრდული პროექტები;
- **2020 წლის ნოემბერი-დეკემბერი:** ახალგაზრდული ორგანიზაციის ინიციატივა არჩევნების შემდეგ ქალაქების სააგიტაციო მასალებისგან გასუფთავება თბილისსა და რეგიონებში;
- **2021 წლის 9 აპრილი:** ახალგაზრდებმა 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს;
- **2021 წლის 26 მაისი:** ,,ტაში ქართულ ჯარს'' ახალგაზრდების ინიციატივით 26 მაისს, 00:01 საათზე საქართველოს მასშტაბით ქართულ ჯარს მადლობის ნიშნად ტაში დაუკრეს და დამოუკიდებლობის დღის ღონისძიებაზე წვევამდელებს ტაშის დერეფნით მიეგებნენ;
- **2021 წლის 18-19 ივნისი:** ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო გაერთიანების (IUSY) კონგრესში მონაწილეობა. ქართული მხარის ინიციატივით ,,მშვიდობის კომიტეტი'' შეიქმნა, რომლის ხელმძღვანელადაც გიორგი ჩაკვეტაძე აირჩიეს;
- **2021 წლის ივლისი-აგვისტო:** ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კამპანიის დაწყება.

მერიის საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისია

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ 2015 წელს შექმნილი პროგრამების განმხილველი კომისიის წევრია. კომისია თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების *„სპორტული ღონისძიებები" (კოდი 08.06.01)* და *„ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა" (კოდი 08.08.01)* ფარგლებში შემოსულ პროექტებს განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას მათი დაფინანსების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა" (კოდი 07 04) ქვეპროგრამების: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა" (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები" (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა" (კოდი 08 08 01) განხორციელების წესი"-ის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების განმხილველი კომისიის **82** სხდომა, სადაც განხილულია **1,177** პროექტი და მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის საქმიანობა

2017 წლის 15 ნოემბრის N10 განკარგულებით დამტკიცებულია სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 8 (რვა) წევრიანი (*გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი), გიორგი მუსხელიშვილი (კომისიის წევრი) და მარინა დათუკიშვილი (კომისიის წევრი))* **შემადგენლობა. კომისიის საქმიანობის პრიორიტეტს, თბილისის მასშტაბით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა წარმოადგენს.**

კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და/ან წარმოდგენილ პროექტებზე დასკვნის მომზადება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება:

- ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარებას, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- დედაქალაქში ახალგაზრდული, კულტურულ-სპორტული პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;
- ახალგაზრდებისთვის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას;
- დედაქალაქში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდას, სპორტული და ტურისტული პროგრამების შემუშავებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას;
- დედაქალაქის მოქმედ და ვეტერან სპორტის მუშაკთათვის სხვადასხვა სოციალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას;

- ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობას;
- დედაქალაქში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერას.

კომისიის საქმიანობას ასევე განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონიტორინგი;
- დედაქალაქში არსებული და მშენებარე სპორტული ობიექტების მონიტორინგი;
- სამინისტროებთან, კომიტეტებთან, მუნიციპალიტეტებთან, გამგეობებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ფედერაციებთან და სხვა ორგანიზაციებთან რეგულარული კომუნიკაცია და დარგობრივი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;
- დედაქალაქის საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან შეხვედრები მათ რაიონებში სპორტული და ახალგაზრდული მიმართულებით არსებული საჭიროებების დადგენისა და ინიციატივების მოსმენის მიზნით;
- სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- კომისიის სხდომების ორგანიზება, დასკვნებისა და ოქმების მომზადება;
- გამგეობებისა და საქალაქო სამსახურის საქმიანობის ანგარიშების მოსმენა;
- დარგობრივი ტენდერების მონიტორინგი;
- კომისიაში შემოსულ კორესპონდენციაზე შესაბამისი რეაგირება;
- მოქალაქეების მიღება;
- კომისიის საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობა;
- დელეგაციის წევრობა და პროექტებში მონაწილეობა;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპორტული და ახალგაზრდულ ა(ა)იპ-ებში ვიზიტი და მათი საქმიანობის რეგულარული გაცნობა;
- საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება;
- სხვადასხვა კალენდარული ღონისძიებისა და აქტივობის დაგეგმვა და მათში მონაწილეობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი;
- წარმატებული სპორტსმენების წახალისება;
- მსოფლიო შეჯიბრებებსა და ოლიმპიადებზე ქართველი სპორტსმენების გაცილება საკრებულოს წევრების მიერ;
- სტაჟირებასა და დასაქმებაში ახალგაზრდების ხელშეწყობა;
- საზღვარგარეთის ქალაქებთან, მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობების დამყარება და პარტნიორ ქალაქებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება.

კომისიის სხდომები

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 59 სხდომა და განიხილა **127** საკითხი, მათ შორის: **44** განკარგულების და **37** დადგენილების პროექტი, ანგარიშები, კომისიის ინიციატივები, პროექტები და სხვადასხვა წერილები/განცხადებები.

ასევე, კომისიის გასვლითი სხდომების ფარგლებში მოხდა სპორტული ობიექტების მონიტორინგი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, კომისიის მიერ მომზადებულია **57** სამართლებრივი დასკვნა და **59** კომისიის სხდომის ოქმი.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ მხარი დაუჭირა არაერთ მნიშვნელოვან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რამაც ხელი შეუწყო დედაქალაქში სპორტის განვითარებასა და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებას, 2018, 2019, 2020 წლების ბიუჯეტით პროგრამებისთვის გამოყოფილი იყო **58,867,9 ათასი ლარი** (შესრულდა 42, 947,8 ათასი ლარით), მიმდინარე წელს დაიხარჯება **28 578,5 ათასი ლარი.**

თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებისთვის და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისთვის, მიღებული იქნა სხვადასხვა გადაწყვეტილებები, მათ შორის:

- თანამედროვე სტანდარტების საფეხბურთო მოედნის მოწყობისა და ამ ობიექტისთვის სპორტული პროფილის მუდმივად შენარჩუნების მიზნით, ფეხბურთის ფედერაციას პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად (1₾-ად) გადაეცა მიწის ნაკვეთები **გლდანში და ნუცუბიძეზე. გლდანში დასრულდა და უკვე ფუნქციონირებს საფეხბურთო ცენტრი, სადაც** ქალთა და მოყვარულ ფეხბურთელ გუნდებთან ერთად, უფასოდ სარგებლობენ ადგილობრივი საფეხბურთო სკოლებიც; **ხოლო ნუცუბიძის პროექტზე, სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება;**
- **მოედნის მოსწყობად,** თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაეცა **თბილისის ქვიშის ფეხბურთის ფედერაციას;** ასევე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონება **საქართველოს ჭადრაკის ფედერაციიას,** შენობის რეაბილიტაციის მიზნით;
- სპორტის დარგში მოღვაწე ორგანიზაციებისთვის, რომელთა უშუალო საქმინაობას მოიცავს სპორტული ობიექტების ფუნქციონირება, მუნიციპალიტეტმა უფლებამოსილების ფარგლებში **ქონების გადასახადზე, დაუდგინა შეღავათიანი განაკვეთი.** გადაწყვეტილებამ ხელი შეუწყო სპორტის პოპულარიზაციასა და მეტი ადამიანის მიერ სპორტული და ფიტნეს ობიექტების გახსნით დაინტერესებას.

განხილული საკითხები:

1. ***„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ (ვიცე-მერად) ირაკლი ხმალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"*** *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;*

2. ***„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ მაია ბითაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"*** *განკარგულების პროექტი;*

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ ირაკლი ბენდელიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ გიგა ნიკოლეიშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსად ვლადიმერ ჭიღლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსად გაიოზ თალაკვაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსად სერგო ბირკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსად გიორგი ბაგრატიონის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსად სოფიო ხუნწარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსად გივი კუბლაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსად მამუკა მუმლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსად გელა ჩივიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსად გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსად გიორგი პაპავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის *შესახებ"* *განკარგულების პროექტი;*

15. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსად ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

16. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსად ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

17. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

18. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლად გაიოზ ვასაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

19. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლად დავით კირკიტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

20. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლად ლევან ჯაფარიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

21. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლად ნოდარ ტურძელაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

22. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლად ირმა ზავრადაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

23. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლად ზურაბ ჩიკვილაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

24. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლად ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

25. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგებლად ირაკლი ხელაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

26. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებლად კახაბერი ლაბუჩიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

27. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებლად დავით კერესელიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

28. ,,ბადრი გიორგიძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

29. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;*

30. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

31. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

32. მიმდინარე საკითხები *(კომისიის სამომავლო გეგმები);*

33. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი*;

34. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" *დადგენილების პროექტი*;

35. .„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

36. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

37. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შეახებ" *დადგენილების პროექტი;*

38. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივის განხილვა ,,საქართველოს პირველი ახალგაზრდული ფორუმის" *დაფუძნების თაობაზე;*

39. მიმდინარე საკითხები *(მაჟორიტარ წევრებთან შეხვედრის შეჯამება და სარეკომენდაციო წინადადებების განხილვა);*

40. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

41. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

42. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

43. მიმდინარე საკითხები *(კომისიაში შემოსული წერილის განხილვა და სამუშაო შეხვედრის ორგანიზება ,,ჯინო პარკ"-ის წარმომადგენლებთან)*;

44. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი;*

45. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ" *ინფორმაციის მოსმენა;*

46. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა *(საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის I კვარტალი);*

47. *საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივა* ,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს";

48. *საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივა* ,,მუნიციპალური სპორტული ბაზების შექმნის თაობაზე";

49. მიმდინარე საკითხები *(ინფორმაცია მულტიფუნქციური სპორტული ობიექტების მშენებლობის შესახებ);*

50. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

51. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის, ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის, მიერ სპორტული და ახალგაზრდული პროგრამის/ქვეპროგრამების შესრულების შესახებ ინფორმაციის მოსმენა *(საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის I და II კვარტალი);*

52. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარე ახალგაზრდული და სპორტული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა *(საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის I და II კვარტალი);*

53. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა *(საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის I და II კვარტალი);*

54. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის *შესახებ"* *დადგენილების პროექტის განხილვა;*

55. საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის *მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა და სამომავლო გეგმების დასახვა;*

56. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის *პროექტი;*

57. .ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმის დელეგატთა რეგიონული შეხვედრის *თაობაზე ინფორმაციის მოსმენა;*

58. მიმდინარე საკითხები *(ინფორმაცია დედაქალაქში დაგეგმილი და მიმდინარე სპორტული აქტივობების შესახებ);*

59. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა N 37ა-ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.03.010.089) ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის" (ს/კ 203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის N36.19.696 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 სექტემბრის N18.747.1107 განკარგულებით გათვალისწინებული საკითხის შეთანხმების თაობაზე *განკარგულების პროექტი;*

60. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;*

61. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N15-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;*

62. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;*

63. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;*

64. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;*

65. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ფარგლებში განხორციელებული ახალგაზრდული და სპორტული პროექტების შესახებ *ინფორმაციის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის III და IV კვარტალი);*

66. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების *შესახებ ინფორმაციის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2018 წლის III და IV კვარტალი);*

67. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ პროექტის „თბილისის მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა" განხილვა;

68. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

69. ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის *მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა;*

70. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" *დადგენილების პროექტი;*

71. ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;*

72. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ" *ინფორმაცია;*

73. მიმდინარე საკითხები: ინფორმაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების სამშენებლო და საპროექტო სამუშაოების, ასევე კომისიის მიერ დაგეგმილი *მიმდინარე პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ შუამდგომლობები;*

74. .„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

75. დედაქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის (თბილისის მინი სტადიონები) საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგების მიზნით, საკრებულოს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ მოკვლევის დაწყების თაობაზე;

76. მიმდინარე საკითხები *(პროექტების პრეზენტაცია);*

77. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ: #01.11.09.001.053; #01.11.09.001.158; #01.11.09.001.132; #01.11.09.001.178) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის" (ს/ნ:201990079) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

78. მიმდინარე საკითხები *(ღონისძიებების დაგეგმვა);*

79. საჭადრაკო კლუბ ,,ოლიმპიური ჩემპიონის" *წერილი;*

80. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;*

81. **„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ"** *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი;*

82. **საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის რეკომენდაციის განხილვა,** საცხენოსნო სპორტის განვითარების თაობაზე;

83. **საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ანგარიშის წარდგენა და სამომავლო გეგმების დასახვა;**

84. **ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი"-ის სტრუქტურული ერთეულის ,,ნაძალადევის სპორტული კომპლექსი"-ს სასწავლო პროცესის გაცნობა და სამომავლო გეგმების მოსმენა -** *გასვლითი სხდომა;*

85. **„ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, #102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული 21229 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: #1, #2 და #3 (მიწისქვეშა ნაგებობა) (ს/კ: #01.14.16.008.031) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"** *განკარგულების პროექტი;*

86. **„ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 1244 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.12.21.001.526) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქვიშის ფეხბურთის ფედერაციისთვის" (ს/კ: 406246753) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე"** *განკარგულების პროექტი;*

87. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;*

88. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"** *დადგენილების პროექტი;*

89. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** *დადგენილების პროექტი;*

90. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილები პროექტი;*

91. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის ,,კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში" (კოდი: 08 11) ფარგლებში განხორციელებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული *პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2019 წელი);*

92. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში" (კოდი: 02 09 10 - 02 09 19) ფარგლებში განხორციელებული სპორტული ინფრასტრუქტურული *პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2019 წელი);*

93. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51–104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

94. მრავალშვილიანი სტატუსის მქონე ოჯახების პრიორიტეტულ ჯგუფებად გათვალისწინება სხვადასხვა პროგრამებში;

95. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 91,642 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.13.004.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" *განკარგულების პროექტი;*

96. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიმდინარე პროექტები;

97. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, მიმდინარე წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და სამომავლო გეგმების *შესახებ ინფორმაციის მოსმენა;*

98. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

99. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

100. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიმდინარე საკითხები;

101. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *საკრებულოს დადგენილების პროექტი;*

102. კომისიაში შემოსული მიმდინარე წერილების განხილვა;

103. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

104. „დიდ დიღომში მშენებარე მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მიმდინარე პროექტის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ანგარიშისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა." *გასვლითი სხდომა*;

105. .ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის" *2020 წლის საქმიანობის ანგარიში;*

106. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" *დადგენილების პროექტი*;

107. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

108. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", *დადგენილების პროექტი;*

109. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კვინიკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

110. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

111. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

112. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" *განკარგულების პროექტი;*

113. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 – 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

114. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ" *ანგარიში;*

115. ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი"-ს სტრუქტურული ერთეულის ,,ნაძალადევის სპორტული კომპლექსი"-ში, კორონა ვირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების შემსუბუქების შემდგომ გახსნითი სამუშაოების, მიმდინარე სასწავლო პროცესის გაცნობა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა - *გასვლითი სხდომა;*

116. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ *" ინფორმაცია;*

117. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

118. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

119. შპს ,,წყალთა სახეობის ცენტრი ტონუსი"-ს *მიმდინარე სასწავლო და სამუშაო პროცესის გაცნობა, ასევე სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;*

120. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე" *დადგენილების პროექტი - გასვლითი სხდომა;*

121. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

122. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

123. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" *დადგენილების პროექტი;*

124. „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ-ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/კ: 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" *განკარგულების პროექტი;*

*125. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების: ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ **10000** კვ.მ. (საკადასტრო კოდი: **N72.16.17.862**); ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ **7449** კვ.მ. (საკადასტრო კოდი: **N72.16.20.527**); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ **5927** კვ.მ. (საკადასტრო კოდი: **N72.16.20.518**); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ **7898** კვ.მ. (საკადასტრო კოდი: **N72.16.20.519**); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ **13734** კვ.მ. (საკადასტრო კოდი: **N72.16.20.520**); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ **10000** კვ.მ. (საკადასტრო კოდი: **N72.16.20.522**) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"* *განკარგულების პროექტი;*

*126. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, **2021** წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების* *შესახებ ინფორმაციის მოსმენა;*

კომისიის სხდომები საჯაროა და მასზე დასწრების უფლება ყველა მოქალაქეს აქვს.

კომისიის ინიციატივები

ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი

2018 წელს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით დაფუძნდა ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტების საკრებულოების ახალგაზრდა წევრთა ერთიან ფორმატში რეგულარული შეხვედრის გზით, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესება.

ფორუმის დღის წესრიგი სხვადასხვა წელს განსხვავებული იყო და მოიცავდა სამუშაო ფორმატს, საპროექტო იდეების შემუშავებას, პროექტების პრეზენტაციას და კენჭისყრას, მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის ანგარიშის წარდგენას. გარდა აღნიშნული საკითხებისა, ფორუმის პლატფორმის გაძლიერების მიზნით ფორუმის ფარგლებში ხდებოდა ინიციატივების წარმოდგენა, რაც რეზოლუციის სახით შემუშავდა და მონაწილეების მიერ ხელმოწერით დადასტურდა.

ახალგაზრდულ ფორუმში 64 მუნიციპალიტეტის საკრებულოების ახალგაზრდა წევრები და სტუდენტური თვითმმართველობების პრეზიდენტები მონაწილეობდნენ. ფორუმს ასევე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფორუმის ეგიდით ჩატარდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის:

კამპანია „როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს"

თბილისის საჯარო სკოლებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, კამპანია „როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს" განხორციელდა. კამპანიის ფარგლებში ჩატარდა 11 შეხვედრა 158-ე, 85-ე, 199-ე, 174-ე, 146-ე, 208-ე, 107-ე, 143-ე, 115-ე, მე-60 და მე-9 სკოლებში. კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე, დეპუტატები და ცნობილი სპორტსმენები საჯარო სკოლის მოსწავლეებს ხვდებოდნენ და ცხოვრების ჯანსაღი წესსა და მიმდინარე პროექტებზე ესაუბრებოდნენ.

კამპანიის ფარგლებში სხვადასხვა თემატური აქტივობა ჩატარდა, მათ შორის დაჯილდოვდა 175-ე საჯარო სკოლის პედაგოგი და რაგბში პირველი ქალი მსაჯი ნინო ელოშვილი - სპორტში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

მუნიციპალური სპორტული ბაზა

კომისიის ინიციატივით, დედაქალაქში მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და სპორტული აქტივობების კონსოლიდაციის მიზნით, თბილისის მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირებს შორის (საკრებულო, მერია, გამგეობები, ა(ა)იპ-ები, სსიპ-ები), სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი, ბოულინგი, ბილიარდი, ფრენბურთი, აირსოფტი, კარტინგი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, ნარდი, კიბერ სპორტი, ექსტრემალური სპორტი, სამაგიდო თამაშები და სხვა) 2018 წელს სპორტის მოყვარულთა მუნიციპალური საერთო ბაზა შეიქმნა. ასევე, შეიქმნა სიახლეების ელექტრონული ჯგუფი.

აღნიშნულის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიები გაფორმდა საკრებულოსა და სხვადასხვა კომპანიას შორის, რითაც მუნიციპალიტეტის თანამშრომლები სარგებლობენ.

ტურნირი ,,თბილისის სასკოლო ლიგა"

კომისიის ინიციატივით და ა(ა)იპ-ის „სპორტის მართვის მეთოდოლოგიის და ტექნოლოგიების ასოციაციის" ორგანიზებით 2019 წელს ,,თბილისის სასკოლო ლიგა" დაფუძნდა. ტურნირის განხორციელებას მხარს უჭერდა თბილისის მერია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და კერძო ორგანიზაციები.

ტურნირი მინი ფეხბურთში პირველად 2019 წელს გაიმართა, რომელშიც 32 (ოცდათორმეტი) საჯარო სკოლის, 400-მდე მოსწავლე იღებდა მონაწილეობას და თბილისის სამი რაიონის ტერიტორია მოიცვა.

ტურნირის განხორციელება უფრო ფართო მასშტაბებით კვლავ იგეგმებოდა 2020 წლის მარტი-ივლისის პერიოდში, თუმცა ქვეყანაში ახალი კორონავირუსით (COVID-19) შექმნილი ვითარების გამო პროექტი გადაიდო და 2021 წელს ჩატარდა თბილისის 100-მდე სკოლის 1000-ზე მეტი მოსწავლის ჩართულობით.

პროექტის მიზანი მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაა. ასევე აღსანიშნავია, რომ ტურნირის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელმაც 2021 წლის 12-15 აგვისტოს, უკრაინაში (ქ. კიევი) მინი ფეხბურთის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა.

კამპანია ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში"

კომისიის ინიციატივით, თბილისის საკრებულოში, კამპანიის ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში'' ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციების წარმომადგენლებისა და მოქმედი სპორტსმენების მონაწილეობით ღონისძიებები ჩატარდა.

შეხვედრები კამპანიური ხასიათის იყო, რომელიც მიზნად ისახავდა დედაქალაქში სპორტული მიმართულებით არსებული პრობლემების გამოვლენას და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობას. ასევე, სპორტსმენებისა და ფედერაციებისგან საჭირო ინფორმაციის მიღებას მათი საქმიანობის ხელშეწყობისთვის და მადლობის გადახდას სპორტის სფეროში შეტანილი წვლილისთვის.

საქველმოქმედო აქციები

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით და ორგანიზებით წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლების მიერ საქველმოქმედო აქცია რამდენჯერმე გაიმართა.

აქციის ფარგლებში კომისიის თავმჯდომარე პენიტენციურ დაწესებულებას და ბავშვთა სახლებს საკრებულოს დეპუტატებთან, აპარატის თანამშრომლებთან და სპორტსმენებთან ერთად ესტუმრა.

საქველმოქმედო აქციები კომისიის ინიციატივით რეგულარულად იმართებოდა.

პერიოდულად იგეგმებოდა სხვადასხვა სამუშაო შეხვედრა. საანგარიშო პერიოდში არაერთი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა სპორტისა და ახალგაზრდობის სექტორის წარმომადგენლებთან, მათ შორის:

სამუშაო შეხვედრა საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან

შეხვედრებზე მაჟორიტარ წევრებს კომისიის თავმჯდომარე ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროექტებს აცნობდა. საკრებულოს წევრები კი თავის მხრივ, კომისიას თავიანთ სამაჟორიტარო ოლქებში სპორტული და ახალგაზრდული მიმართულებით არსებული საჭიროებების შესახებ წინადადებებს აწვდიდნენ. რეკომენდაციები კომისიის სამდივნოს მიერ მუშავდებოდა და თბილისის მერიას, გამგეობებსა და სამინისტროებს ეგზავნებოდათ.

სამუშაო შეხვედრა თბილისის რაიონულ გამგეობებთან

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით სამუშაო შეხვედრები თბილისის რაიონული გამგეობების კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის და ინფრასტრუქტურის განყოფილების წარმომადგენლებთან პერიოდულად იმართებოდა.

საკრებულოს წევრები გამგეობების მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ანგარიშებსა და სამოქმედო გეგმას ეცნობოდნენ.

სამუშაო შეხვედრა სპორტულ ფედერაციებთან და ა(ა)იპ-ებთან

სპორტულ ფედერაციებსა და ქალაქ თბილისის ა(ა)იპ-ებთან სამუშაო შეხვედრები რეგულარულად იმართებოდა. კომისიის თავმჯდომარე მოწვეულ სტუმრებს სპორტის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტით განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებს და სამომავლო პრიორიტეტებს აცნობდა.

შეხვედრებს საკრებულოს წევრები და მერიის, პარლამენტისა და სამინისტროების, ასევე ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან

კომისიის ინიციატივით, პერიოდულად ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრები იმართებოდა. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის მუნიციპალიტეტს, სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში 9 სპორტული და 2 ახალგაზრდული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია, ა(ა)იპებ-ი აერთიანებს **21 სტრუქტურულ** ერთეულს, შესაბამისი ინფრასტრუქტურით. მათი საქმიანობის გაცნობას და მონიტორინგს კომისია პერიოდულად ახორციელებდა.

გასვლითი შეხვედრა/მონიტორინგის ფარგლებში კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წევრებთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად ობიექტების მუშაობის პროცესს, სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ინვენტარით აღჭურვასა და სხვა აქტივობებს ეცნობოდა.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში/ფორუმებში/ასამბლეებში მონაწილეობა

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, მონაწილეობდა სხვადასხვა ფორუმებსა თუ ასამბლეებში და ასევე, მასპინძლობდა მათ დელეგაციებს.

(IUSY) პრეზიდიუმის და შავი ზღვის კომიტეტის (BSAC) ვიზიტი საკრებულოში

კომისიის თავმჯდომარის გიორგი ჩაკვეტაძის ინიციატივით საკრებულოს თავმჯდომარესთან და დეპუტატებთან ერთად სამუშაო შეხვედრა გაიმართა ,,ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო გაერთიანების'' (IUSY) პრეზიდიუმისა და შავი ზღვის კომიტეტის (BSAC) დელეგაციასთან. შეხვედრაზე ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხებზე, თბილისში მიმდინარე სამიტის დღის წესრიგსა და სამომავლო თანამშრომლობის გზებზე ისაუბრეს.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI)-ის *ეგიდით გამართული საერთაშორისო კონფერენცია*

IRI-ის ეგიდით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ჩაკვეტაძე ,,ახალგაზრდა ლიდერების თაობა 2018'' რეგიონის 10 ქვეყნის ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ჩაერთო.

კონფერენციაზე ისაუბრეს პოლიტიკაში ახალგაზრდობის მნიშვნელობაზე, ასევე, კორუფციის მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და მათი აღმოფხვრის გზებზე.

პლატფორმა Generation Democracy (GenDEM) 70 ქვეყნის 400-ზე მეტ ახალგაზრდულ ორგანიზაციას აერთიანებს.

ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე დელეგაციის ვიზიტი

კომისიამ, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებზე მომუშავე დელეგაციას უმასპინძლა.

ევროპის საბჭოს დელეგაცია საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს მოწვევით ესტუმრა და ვიზიტის მიზანს 2014 წელს მიღებული ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის შესწავლა წარმოადგენდა.

გიორგი ჩაკვეტაძე ევროპული დემოკრატიის ახალგაზრდული ქსელის EDYN წევრად და ელჩად აირჩიეს

კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე ევროპული დემოკრატიის ახალგაზრდული ქსელის EDYN-ის წევრად და ელჩად აირჩიეს.

გიორგი ჩაკვეტაძე EDYN-ის საქმიანობაში ელჩის სტატუსით 22 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ჩაერთო. განხორციელდა პროექტები, რაც პასუხობს შემდეგ გამოწვევებს: ახალგაზრდების ემიგრაცია, ნაკლები ჩართულობა პოლიტიკაში, კონფლიქტები, პოლიტიკური პოლარიზაცია და სხვა.

ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ფორუმი

ევროპულ-ქართული ინსტიტუტისა (EGI) და შვედეთის საერთაშორისო ლიბერალური ცენტრის (SILC) ერთობლივი პროექტი ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ფორუმით გაიხსნა, სადაც ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ პოლიტიკაში ახალგაზრდების როლსა და ამ მიმართულებით არსებულ კონკრეტულ გამოწვევებზე ესაუბრათ.

ფორუმის ფარგლებში გიორგი ჩაკვეტაძემ ონლაინ რეჟიმში ახალგაზრდებთან შეხვედრა გამართა, სადაც ისაუბრა ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და უპასუხა მათ შეკითხვებს.

გიორგი ჩაკვეტაძემ გლობალურ ასამბლეაში მიიღო მონაწილეობა

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე ,,მსოფლიო მოძრაობა დემოკრატიისთვის'' და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ ორგანიზებული გლობალური ასამბლეის პანელზე სიტყვით გამოვიდა.

რიგით მეათე ასამბლეა ელექტრონულად გაიმართა. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა ევროპასა და აზიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, რეგიონის გამოწვევებსა და

თანამედროვე მმართველობის ინიციატივებზე იმსჯელეს. კომისიის თავმჯდომარემ საქართველოში პოსტ-საბჭოთა პერიოდი მიმოიხილა. მან დემოკრატიული რეფორმების მიმდინარეობას და იმ გამოწვევებს გაუსვა ხაზი, რომლებიც ქვეყნის წინაშე ჯერ კიდევ დგას.

,,მსოფლიო მოძრაობა დემოკრატიისთვის'' არის საერთაშორისო ქსელი, რომელიც 1999 წლიდან სამოქალაქო აქტივისტებს, მკვლევარებს, პარლამენტარებს, ჟურნალისტებსა და სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს აერთიანებს. პანდემიით გამოწვეული ვითარების გამო, გლობალური ასამბლეა 2021 წელს ელექტრონულად გაიმართა.

ღონისძიებებსა და შეხვედრებში მონაწილეობა

გიორგი ჩაკვეტაძე, როგორც საკრებულოს წევრი და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მუდმივად ესწრებოდა საკრებულოს, მერიის, რაიონული გამგეობების, სპორტული და ახალგაზრდული ა(ა)იპ-ების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს, შეხვედრებსა და სხვადასხვა სახის ცერემონიებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ის დაესწრო მსგავსი ტიპის 100-ზე მეტ შეხვედრას. მათ შორის ისეთ შეხვედრებს და ღონისძიებებს როგორიცაა: სტუდენტური ფესტივალები; პროგრამის „ისწავლე და დასაქმდი მერიასთან ერთად'' შემაჯამებელი ღონისძიება; პროგრამის „წარმატებული მაგისტრანტების წახალისება'' ფარგლებში გამართული ღონისძიება; პროექტის „BE Lingual'' მონაწილეთათვის სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია; თბილისის მერიის ახალგაზრდობის ფორუმი; ფესტივალი „თბი-ლისი''; გარბენი „თბილისი'' ახლადაშენებული ან რეაბილიტირებული ა(ა)იპ-ებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის გახსნა; სალაშქრო ტურების და საზაფხულო კემპების გახსნის ღონისძიებები; სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების პრეზენტაცია და განხილვები; თბილისის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების: ტრანსპორტის, ურბანული, გარემოს დაცვის, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვისა და სოციალური, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის პრეზენტაციები - ყოველწლიური სიახლეების და 2021 წელს შემაჯამებელი ინფორმაციის წარდგენა და სხვა.

მივლინებები/ოფიციალური ვიზიტები

საანგარიშო პერიოდში კომისიის თავმჯდომარე - გიორგი ჩაკვეტაძე, ქ. თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს'' თავმჯდომარის მოადგილესთან (კომისიის წევრი) გიორგი მუსხელიშვილთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან ***ერთად ,,ბასკონია - ალავეს ჯგუფის'' მიწვევით ოფიციალური ვიზიტით ესპანეთში, ბასკეთში იმყოფებოდა.*** ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები ქალაქ ვიტორიაში, ბილბაოსა და ეიბარში შედგა - ბასკეთის დედაქალაქ ვიტორიის მერთან და სხვადასხვა სამსახურისა და კომპანიის წარმომადგენელთან.

ქალაქის მერმა დელეგაციას ბოლო 10 წლის განმავლობაში მიღწეული შედეგები გააცნო. ასევე, ქალაქში არსებულ სხვადასხვა გამოწვევებზე ისაუბრეს, ტრანსპორტისა და სპორტის სამსახურების წარმომადგენლებმა თავიანთი მიღწევები გააცნეს და შეთანხმდნენ აღნიშნული მიმართულებებით მეთოდოლოგიისა და ინფორმაციის სისტემურ გაცვლაზე.

ვიზიტის მიზანი იყო ესპანეთში არსებული სპორტული კომპლექსების მონახულება, მათი სამუშაო მეთოდოლოგიის გაცნობა და შემდგომ თბილისში მულტიფუნქციური საზოგადოებრივი კომპლექსების მშენებლობისა და ამუშავების პროცესში მიღებული გამოცდილების გაზიარება.

გარდა ამისა, კომისიის თავმჯდომარე ოფიციალური ვიზიტით ავსტრიაშიც იმყოფებოდა, სადაც პროგრესული ალიანსის პროექტში - „პროგრესული ალიანსის აქტივისტთა აკადემია" მონაწილეობდა.

კონფერენციის თემები თანამედროვე პოლიტიკური ტექნოლოგიები, საუკეთესი პრაქტიკის გაცვლა და რეგიონის გამოწვევები იყო.

სამი დღის განმავლობაში კომისიის თავმჯდომარე დაესწრო მაღალი რანგის სხვადასხვა ვორქშოფსა და შეხვედრას. შეხვედრები რენერის ინსტიტუტში (RI), ევროპარლამენტართან და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან ანდრეას შიდერთან და ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო გაერთიანების (IUSY) გენერალურ მდივანთან, ანა ფირცხალავასთან გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ პროგრესული ალიანსი მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სოციალურ-დემოკრატიული გაერთიანებაა, რომელიც 140-ზე მეტ ორგანიზაციას აერთიანებს.

ზემოაღნიშნულის გარდა, კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ქუთაისში, სადაც თბილისის საკრებულოს სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით, 21 თებერვალს ახალგაზრდული ფორუმი - „ადგილობრივი თვითმმართველობა სტუდენტებისთვის" გაიხსნა.

განხილული კორესპონდენცია

საანგარიშო პერიოდის მანძილზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ განიხილა და მოამზადა **3383 მასალა/კორესპონდენცია** და პროექტი. მათ შორის არის კომისიაში შემოსული, საკრებულოს სხდომაზე განსახილველი **1593 მასალა** და იურიდიული პირებისა და მოქალაქეებისგან **73 წერილი/განცხადება.**

რაც შეეხება გასულ კორესპონდენციას, ის ჯამში შეადგენს **1687-ს**. მათ შორის კომისიის მიერ მომზადებული და გარე უწყებებში გაგზავნილი წერილების რაოდენობა შეადგენს 1320-ს, ხოლო საკრებულოს შიდა უწყებებისთვის გაგზავნილი წერილების რაოდენობა - 367-ს.

მოქალაქეთა მიღება

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სამდივნო ორგანიზებას უწევს კომისიის თავმჯდომარესთან მოქალაქეთა მიღებას, რომელიც ყოველდღიურად ხორციელდება.

საანგარიშო პერიოდში პირისპირი შეხვედრა შედგა 1000-ზე მეტ მოქალაქესთან და იურიდიულ პირთან, რომლებსაც შესაბამისი დახმარება/კონსულტაცია გაეწიათ. განხორციელდა სატელეფონო კონსულტაცია და მოქალაქეებს განმარტებები მიეცათ.

დამატებითი ინფორმაცია

კომისიის სამდივნო

კომისიის საქმიანობას უზრუნველყოფს სამდივნო, რომლის ფუნქცია/მოვალეობებში შედის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და განხილვა, ამ პროექტებზე შენიშვნების, წინადადებების და დასკვნების მომზადება, ღონისძიებებისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, საკონსულტაციო და ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა და სხვა.

სტაჟიორების მიღება

კომისიის, საანგარიშო პერიოდში, ჰყავდა 6 სტაჟიორი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ შემოსული განცხადება/წერილების განხილვასა და კომისიის სხდომების მომზადებაში. ესწრებოდნენ კომისიისა და საკრებულოს სხდომებს. მათ გადაეცათ ორენოვანი სერტიფიკატები.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ძირითადი ინფორმაცია ქვეყნდება კომისიისა და გიორგი ჩაკვეტაძის "Facebook" გვერდებზე და მის მართვას უზრუნველყოფს კომისიის სამდივნო. ასევე, საკრებულოს პრეს-სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობის გაშუქებას, მათ შორის აქტივობების საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებზე განთავსებას.

საანგარიშო პერიოდში საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და სხვადასხვა აქტუალური საკითხი გაშუქდა, მათ შორის:

- **2017 წლის ნოემბერი:** საზოგადოებრივი მაუწყებელი - გიორგი ჩაკვეტაძის, როგორც საკრებულოს ყველაზე ახალგაზრდა წევრის ინტერვიუ;
- **2017 წლის 30 ნოემბერი:** საინფორმაციო სააგენტოები - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრებმა „ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრი" მოინახულეს;
- **2017 წლის 5 დეკემბერი:** Stu Net - მოხალისეთა ახალგაზრდული პორტალის პრეზენტაცია;
- **2017 წლის დეკემბერი:** საინფორმაციო სააგენტოები - 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში სპორტის მიმართულებით თანხები იზრდება;
- **2017 წლის დეკემბერი:** საინფორმაციო სააგენტოები - საკრებულოს წევრებმა დღის ცენტრების აღსაზრდელებს საახალწლო საჩუქრები გადასცეს;

- **2018 წლის 18 იანვარი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - გიორგი ჩაკვეტაძემ კომისიის წევრებთან ერთად გლდანის აუზი მოინახულა;
- **2018 წლის თებერვალი:** ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები და სოციალური ქსელები - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი'' შეიქმნა;
- **2018 წლის თებერვალი:** რადიო ,,შოკოლადი'' - გიორგი ჩაკვეტაძე საუბრობს თბილისში სპორტისა და ახალგაზრდობის სექტორსა და მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრების პროექტის შესახებ;
- **2018 წლის თებერვალი:** საინფორმაციო სააგენტოები - ,,გარბენი კუს ტბაზე'';
- **2018 წლის 21 თებერვლის საკრებულოს სხდომა:** საინფორმაციო სააგენტოები **- ,,**ირაკლი გვილავას კანდიდატურა მისაღებია, მისი საქმიანობიდან გამომდინარე'' - გიორგი ჩაკვეტაძე;
- **2018 წლის მარტი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - გარბენი ,,ჩემი გაზაფხული'' ჩუღურეთში;
- **2018 წლის მარტი:** საინფორმაციო სააგენტოები - მუშაობის 4 თვის შეჯამება;
- **2018 წლის მარტი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და სააგენტოები - საკრებულოს დელეგაციის ვიზიტი ესპანეთში;
- **2018 წლის აპრილი:** საინფორმაციო სააგენტოები და ტელევიზიები - სპორტსმენების მიღება საკრებულოში სპორტის დღესთან დაკავშირებით;
- **2018 წლის აპრილი:** პარლამენტის პრეს-სამსახური - სამუშაო შეხვედრა პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტში;
- **2018 წლის 18 აპრილი:** საკრებულოსა და მერიის პრეს-სამსახურები - ვაზისუბანში სარაგბო კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს;
- **2018 წლის მაისი:** საინფორმაციო სააგენტოები - შეხვედრა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან;
- **2018 წლის მაისი:** საინფორმაციო სააგენტოები - ,,დამატებით 30 მილიონი ლარი თბილისის ბიუჯეტში სპორტისთვის'';
- **2018 წლის ივნისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და ტელევიზიები - შეხვედრები თბილისის საჯარო სკოლებში (199-ე, 85-ე და 158-ე სკოლები) კამპანიის ,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს'' ფარგლებში;
- **2018 წლის ივნისი:** საინფორმაციო სააგენტოები და ტელევიზიები - კამპანია ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში'';
- **2018 წლის 24 ივნისი:** საკრებულოსა და მერიის პრეს-სამსახურები **-** ,,გარბენი თბილისი'';
- **2018 წლის 28 ივნისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - გიორგი ჩაკვეტაძე „სტუ-ს სტუდენტური დღეები 2018''-ის დაჯილდოების ცერემონიალს დაესწრო;
- **2018 წლის ივლისი:** ტელევიზიები და საინფორმაციო სააგენტოები - „ქართული ოცნების'' ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები და მოხალისეები ჭუბერში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და გაწმენდით სამუშაოებში მონაწილეობენ;

- **2018 წლის ივლისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და საინფორმაციო სააგენტოები - ,,რიმა ბერაძემ და გიორგი ჩაკვეტაძემ ჩუღურეთის რაიონში განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს;
- **2018 წლის 20 ივლისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - თამარ ტალიაშვილმა და გიორგი ჩაკვეტაძემ თბილისის მერიის ტრენინგ-კურსების მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს;
- **2018 წლის 5 სექტემბერი:** საინფორმაციო სააგენტოები - ,,გიორგი ჩაკვეტაძე გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის ახალ წარმომადგენელს შეხვდა'';
- **2018 წლის 14 სექტემბერი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - გიორგი ჩაკვეტაძემ „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ'' კანონის პროექტის საჯარო განხილვაში მიიღო მონაწილეობა;
- **2018 წლის 20 სექტემბერი:** საკრებულოსა და მერიის პრეს-სამსახურები - გიორგი ჩაკვეტაძემ და ირაკლი გვილავამ ნაძალადევის სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერეს;
- **2018 წლის 26 სექტემბერი:** სტუმრად ტელევიზიაში ,,ობიექტივი'' ;
- **2018 წლის 27 სექტემბერი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და საინფორმაციო სააგენტოები - კამპანია ,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს'' 174-ე სკოლაში გაგრძელდა;
- **2018 წლის 2 ოქტომბერი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძის სიტყვით გამოსვლა ტაქსების რეფორმასთან დაკავშირებით;
- **2018 წლის 18 ოქტომბერი:** საკრებულოს პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და ტელევიზიები - ახალგაზრდული ფორუმის გასვლითი ღონისძიება ქუთაისში;
- **2018 წლის 30 ოქტომბერი:** საკრებულოს პრეს-სამსხური - გიორგი ჩაკვეტაძის 1 წლის საქმიანობის ანგარიში;
- **2018 წლის 7 ნოემბერი:** საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე: ,,თბილისის მერია იპოდრომთან გასხვისებულ ჩოგბურთის კორტებს იბრუნებს'';
- **2018 წლის ნოემბერი:** ტელევიზიები (იმედი, რუსთავი 2, ტვ პირველი) - კომენტარები საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით;
- **2018 წლის 13 ნოემბერი:** საინფორმაციო სააგენტოები - სიტყვით გამოსვლა საკრებულოს სხდომაზე არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით: ,,ოპოზიციის განცხადებებს საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე გამოეხმაურა'';
- **2018 წლის 13 ნოემბერი:** გიორგი ჩაკვეტაძე ტვ პირველის გადაცემაში ,,რეაქცია'';
- **2018 წლის 16 ნოემბერი:** სტუმრად ტელევიზიაში ,,ობიექტივი'';
- **2018 წლის 20 ნოემბერი:** დებატები ტელევიზიაში ,,კავკასია'';
- **2018 წლის 6 დეკემბერი:** ტვ პირველის გადაცემაში ,,რეაქცია'';
- **2018 წლის 6 დეკემბერი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - გიორგი ჩაკვეტაძემ, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ეგიდით გამართულ საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა;

- **2018 წლის 7 დეკემბერი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს სხდომაზე: ,,თბილისში პირველად, ოლიმპიური და არაოლიმპიური სახეობების სპორტსმენებისთვის პრემია გაიცემა'';
- **2018 წლის 28 დეკემბერი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და სააგენტოები - საკრებულოს წევრებმა არასრულწლოვანთა დაწესებულების ბენეფიციარებს დამდეგი ახალი წელი მიულოცეს;
- **2019 წლის 25 იანვარი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე: ,,დედაქალაქის გაზრდილი ბიუჯეტით, მნიშვნელოვნად იზრდება სპორტის დაფინანსებაც'';
- **2019 წლის 5 თებერვალი:** სტუმრად ტელევიზიაში ,,ობიექტივი'';
- **2019 წლის 6 თებერვალი:** სტუმრად რადიო ,,შოკოლადში'' - ,,რა თანხა გამოიყო და როდის დაიწყება მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა?'';
- **2019 წლის 12 თებერვალი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს სხდომაზე: ,,ოპოზიციამ სცადა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების გადაფარვა, თუმცა – უშედეგოდ'';
- **2019 წლის 22 თებერვალი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - ავჭალაში მარტის ბოლომდე სამი ახალი ხელოვნურ საფარიანი, მინი-სტადიონი გაიხსნება;
- **2019 წლის 1-ლი მარტი:** საინფორმაციო სააგენტოები - კამპანია ,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს'' ვარკეთილში გაგრძელდა;
- **2019 წლის 1-ლი მარტი:** საკრებულოს პრეს სამსახური და საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა;
- **2019 წლის 7 მარტი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - საკრებულოს წევრებმა გაზაფხულის დღესასწაულებთან დაკავშირებით სპორტის პედაგოგი დააჯილდოეს;
- **2019 წლის 12 მარტი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - გიორგი ჩაკვეტაძე პროგრამის ,,ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა'' პრეზენტაციას დაესწრო;
- **2019 წლის 14 მარტი:** საკრებულოსა და მერიის პრეს-სამსახურები - წყნეთში მუნიციპალური სპორტული დარბაზის მშენებლობა მიმდინარეობს;
- **2019 წლის 15 მარტი:** საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძის განცხადება თბილისის გენერალური გეგმის მიღებასთან დაკავშირებით: ,,დღეს, ჩვენ ამ სხდომაზე შევიკრიბეთ იმისთვის, რომ ხვალინდელი თბილისი იყოს უკეთესი'';
- **2019 წლის მარტი, აპრილი და მაისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და საინფორმაციო სააგენტოები - ,,საკრებულოს ინიციატივით დაწყებული კამპანია ,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს'' გრძელდება'' - თბილისის 143-ე, 115-ე, მე-60, 208-ე და 107-ე საჯარო სკოლებში;
- **2019 წლის 26 მარტი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - ,,სტუდენტური დღეები 2019''-ის პრეზენტაციას გიორგი ჩაკვეტაძე დაესწრო;
- **2019 წლის 29 მარტი:** საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს სხდომაზე: ,,ოპოზიციას თბილისში „ყვითელი ჟილეტების'' აქციის გამართვა არ გამოუვა;

- **2019 წლის 9 აპრილი:** ტელევიზიები და საინფორმაციო სააგენტოები - „ქართული ოცნების'' ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას რუსთაველის გამზირზე პატივი მიაგო;
- **2019 წლის აპრილი:** ტელევიზიები და საინფორმაციო სააგენტოები - ,,ქართული ოცნების" ახალგაზრდული ორგანიზაცია IUSY-ის პრეზიდიუმისა და შავი ზღვის კომიტეტის ერთობლივ კონფერენციას მასპინძლობს;
- **2019 წლის 19 აპრილი:** საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს სხდომაზე: ,,ოპოზიცია მხოლოდ იმიტომ ყვირის, რომ ყვირილი და ხმაური საკუთარ მოვალეობად მიაჩნია'';
- **2019 წლის 16 მაისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - გიორგი ჩაკვეტაძემ სტუდენტური ფესტივალის დახურვის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა;
- **2019 წლის 31 მაისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი დოხტურიშვილის ინიციატივით, ვარკეთილში სპორტული ღონისძიება გაიმართა;
- **2019 წლის 7 ივნისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური, ტელევიზიები და საინფორმაციო სააგენტოები - ,,თბილისის მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა გაიხსნა'';
- **2019 წლის 10 ივნისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - გიორგი ჩაკვეტაძე სტუდენტურ კონფერენციას დაესწრო;
- **2019 წლის 25 ივნისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე თბილისში მიმდინარე აქციებთან დაკავშირებით: ,,ტოლობის ნიშნის დასმა „ოცნებასა'' და „ნაცმოძრაობას'' შორის ამორალობაა'';
- **2019 წლის 10 ივლისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური, ტელევიზიები და საინფორმაციო სააგენტოები - ,,მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა 2019-ის ფინალი გაიმართა'';
- **2019 წლის 12 ივლისი:** საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე: ,,ელექტროველოსიპედები და ელექტროსკუტერები მერიის მიერ განსაზღვრულ ადგილებში განთავსდება'';
- **2019 წლის 15 ივლისი:** საინფორმაციო სააგენტოები და ტელევიზიები - კამპანიის ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში'' ფარგლებში, მინსკის II ,,ევროპული თამაშების'' სპორტსმენების და მათი მთავარი მწვრთნელების მიღება გაიმართა;
- **2019 წლის 23 ივლისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლილას ივნისში განვითარებულ მოვლენებსა და ხელისუფლების მიერ შემუშავებულ ახალ საარჩევნო სისტემას შეეხო;
- **2019 წლის 19 სექტემბერი:** საკრებულოსა და მერიის პრეს-სამსახურები, საინფორმაციო სააგენტოები - წყნეთში ახლად აშენებული სპორტული ცენტრი გაიხსნა;
- **2019 წლის 20 სექტემბერი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და სააგენტოები - კომისიის გასვლითი სხდომა ნაძალადევის სპორტულ ცენტრში;
- **2019 წლის 25 სექტემბერი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - საკრებულოში ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებზე მომუშავე დელეგაციას უმასპინძლეს;

- **2019 წლის 26 სექტემბერი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - გიორგი ჩაკვეტაძე: ,,თბილისის მუნიციპალიტეტი წლის ბოლოს განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურით ხვდება'';
- **2019 წლის 27 სექტემბერი:** საკრებულოს პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და ტელევიზიები - ვარკეთილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მონახულება;
- **2019 წლის სექტემბერი და ოქტომბერი**: საკრებულოს პრეს-სამსახური - კამპანიის ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში'' ფარგლებში ზაზა ნადირაძესა და ლევან საღინაშვილს უმასპინძლეს;
- **2019 წლის 2 ოქტომბერი:** გიორგი ჩაკვეტაძე სტუმრად რადიო ,,კომერსანტზე'';
- **2019 წლის 4 ოქტომბერი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - საკრებულოს წევრები თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრს ესტუმრნენ;
- **2019 წლის 15 ოქტომბერი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - გიორგი ჩაკვეტაძემ ვენაში გამართულ პროგრესული ალიანსის პროექტში მონაწილეობა მიიღო;
- **2019 წლის 8 ნოემბერი:** საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს სხდომაზე: ,,2020 წელი თბილისისთვის კიდევ უფრო მეტი სიახლეებისა და ახალი პროექტების წელი იქნება'';
- **2019 წლის 22 ნოემბერი:** საინფორმაციო სააგენტოები და ტელევიზიები - გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს სხდომაზე: ,,თბილისის 2020 წლის ბიუჯეტი ისტორიულ ნიშნულს აღწევს, ოპოზიცია კი საქართველოს დაბოქლომებას ცდილობს'';
- **2019 წლის 27 ნოემბერი:** გიორგი ჩაკვეტაძე დებატებში საზოგადოებრივ მაუწყებელზე: „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი მოკავშირეები გვეუბნებიან, რომ კონსტიტუცია არაფერია'';
- **2019 წლის 3 დეკემბერი -** გიორგი ჩაკვეტაძე სტუმრად ტელეკომპანია ,,იმედზე'';
- **2019 წლის დეკემბერი:** საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები და სოც. ქსელები - პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის კვირეული ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობასთან დაკავშირებით;
- **2019 წლის 15-18 დეკემბერი:** საინფორმაციო სააგენტოები და ტელევიზიები - ერეკლე კუხიანიძის მიერ გაკეთებული განცხადება ვაჟა გაფრინდაშვილთან დაკავშირებით. საკრებულოს შენობაში განვითარებული მოვლენები და აქცია საოკუპაციო ხაზთან;
- **2019 წლის 17 დეკემბერი:** საინფორმაციო სააგენოები, საკრებულოსა და მერიის პრეს-სამსახურები - წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოების ღონისძიება;
- **2019 წლის 26 დეკემბერი:** წლის შეჯამება სტუმრად საზოგადოებრივ მაუწყებელზე გიორგი გვიმრაძის საავტორო გადაცემაში: გიორგი ჩაკვეტაძე: ,,ოპოზიციასთან მოლაპარაკების ფორმატი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს'';
- **2019 წლის 27 დეკემბერი:** საკრებულოს პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და ტელევიზიები - გიორგი ჩაკვეტაძე საკრებულოს სხდომაზე: ,,თბილისის ბიუჯეტი რეკორდულ ნიშნულს აღწევს, რაც ჩვენი თანაქალაქელების უმთავრეს ინტერესებს მოხმარდება'';

- **2020 წლის იანვარი:** საინფორმაციო სააგენტოები და ტელევიზიები - ,,თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე საპარლამენტო მანდატზე უარს ამბობს";
- **2020 წლის 17 იანვარი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - არაოლიმპიურ სახეობებში საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოება;
- **2020 წლის 20 იანვარი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე და ალექსანდრე ხუჯაძე ნაძალადევში სპორტულ ინფრასტრუქტურას გაეცნენ;
- **2020 წლის 24-28 იანვარი:** საინფორმაციო სააგენტოები და ტელევიზიები - დაძაბულობა თბილისის საკრებულოში, ფიზიკური დაპირისპირება კომისიების სხდომაზე და გიორგი ჩაკვეტაძის კომენტარები;
- **2020 წლის 27 იანვარი:** სტუმრად ტელეკომპანიაში ,,კავკასია";
- **2020 წლის 7 თებერვალი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - შეხვედრა საკრებულოში ახალგაზრდობის სააგენტოს წარმომადგენლებთან;
- **2020 წლის 18 თებერვალი:** ტელეკომპანია ,,იმედი" და საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე ელენე ხოშტარიას და ირმა ნადირაშვილის მიერ პარლამენტის დარბაზში რუსული ჰიმნის გაჟღერებას გამოეხმაურა;
- **2020 წლის 21-22 თებერვალი:** საკრებულოს პრეს-სამსახური, საინფორმაციო სააგენტოები და ტელევიზიები - ,,ახალგაზრდული ფორუმი" ბათუმში;
- **2020 წლის 25 თებერვალი:** საზოგადოებრივი მაუწყებელი - პოლარიზებული პოლიტიკური გარემო საქართველოში;
- **2020 წლის მარტი:** საინფორმაციო სააგენტოები და ტელევიზიები - პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ინიციატივით მოხალისეთა ერთიანი შტაბი ,,მოხალისე StopCOVID-19" შეიქმნა;
- **2020 წლის მარტი:** საკრებულოს პრეს სამსახური - გიორგი ჩაკვეტაძემ საქართველოს დემოკრატიის თაობის ქსელის (GenDem) გასვლით შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა;
- **2020 წლის 28 აპრილი:** საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე ევროპული დემოკრატიის ახალგაზრდული ქსელის EDYN წევრად და ელჩად აირჩიეს;
- **2020 წლის 8 ივნისი:** სტუმრად პოს ტვ-ის ეთერში: მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, პანდემია და წინასაარჩევნო განწყობები;
- **2020 წლის 16 ივნისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - გიორგი ტყემალაძემ და საკრებულოს წევრებმა სამგორის რაიონში მშენებარე სპორტული ობიექტები დაათვალიერეს;
- **2020 წლის 26 ივნისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და საინფორმაციო სააგენტოები - შეხვედრა რაგბის კლუბთან ,,რაშები";
- **2020 წლის 1-2 ივლისი:** საინფორმაციო სააგენტოები - „ქართული ოცნების" ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ IUSY-ის კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა;
- **2020 წლის 15 ივლისი:** საკრებულოსა და მერიის პრეს-სამსახურები - დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრის პრეზენტაცია;

- **2020 წლის 24 სექტემბერი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - კომისიის გასვლითი სხდომა დიდ დიღომში მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობაზე;
- **2020 წლის ოქტომბერი:** საინფორმაციო სააგენტოები, სოციალური ქსელები და ტელევიზიები - განცხადებები საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით;
- **2021 წლის 18 მარტი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - გასვლითი სხდომა ნაძალადევის სპორტულ ცენტრში;
- **2021 წლის 18 მარტი:** გიორგი ჩაკვეტაძე ტელეკომპანია პოს ტვ-ის გადაცემაში;
- **2021 წლის აპრილი, მაისი და ივნისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და საინფორმაციო სააგენტოები - შეხვედრების სერია ოლიმპიური სახეობის ფედერაციებთან;
- **2021 წლის 9 აპრილი:** საინფორმაცო სააგენტოები და ტელევიზიები - პარტიის ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკო;
- **2021 წლის 9 აპრილი:** ტელეკომპანია რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში;
- **2021 წლის 22 აპრილი:** საკრებულოს პრეს-სამსახური, ტელევიზიები და საინფორმაციო სააგენტოები - კომისიის გასვლითი სხდომა დიდი დიღმის მულტიფუნქციურ ცენტრში;
- **2021 წლის 29 აპრილი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - გიორგი ჩაკვეტაძე ,,მსოფლიო მოძრაობა დემოკრატიისთვის'' მიერ ორგანიზებულ გლობალურ ასამბლეაზე;
- **2021 წლის 20 მაისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - კომისიის გასვლითი სხდომა წყალთა სახეობის ცენტრში ,,ტონუსი'';
- **2021 წლის 8 ივნისი:** საინფორმაციო სააგენტოები და ტელევიზიები - მზიურში ,,მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგის'' პრეზენტაცია გაიმართა;
- **2021 წლის 25 ივნისი:** საინფორმაციო სააგენტოები - კომენტარი მერის 4 წლის ანგარიშზე;
- **2021 წლის 26 ივნისი:** საკრებულოსა და მერიის პრეს-სამსახურები - თბილისი წყალბურთის მსოფლიო ლიგის სუპერ ფინალს მასპინძლობს;
- **2021 წლის 2 ივლისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური - ,,გიორგი ჩაკვეტაძემ უნივერსიადის გამარჯვებულთა დაჯილდოების ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო'';
- **2021 წლის ივლისი-აგვისტო:** ტელევიზიები და საინფორმაციო სააგენტოები - ,,მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგის'' ფინალი და ეროვნული ნაკრების მსოფლიო ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გაცილება;
- **2021 წლის 23 ივლისი:** საკრებულოს პრეს-სამსახური და საინფორმაციო სააგენტოები - გიორგი ჩაკვეტაძე ოლიმპიური თამაშების და სპორტის დამატებითი პროგრამების შესახებ;
- **2021 წლის 2 აგვისტო:** საკრებულოს პრეს-სამსახური - ,,გიორგი ჩაკვეტაძემ პროექტის "UPGRADE"-სადმი მიძღვნილი კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო'';
- **2021 წლის სექტემბერი:** ტელევიზიები და სააგენტოები - 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.